თემატური ჯგუფი - „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა“

თემატური ჯგუფის სხდომის ოქმი №12

29 თებერვალი, 2012
თბილისი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

თარიღი	**ადგილი**	**დასაწყისი**	**დასასრული**
29 თებერვალი, 2012	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	15:00	16:00

დღის წესრიგი
1. დღის წესრიგის განხილვა
2. წინა სხდომის ოქმის დამტკიცება
3. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა
4. სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების შესწავლის მიზნით განსახორციელებელი ქმედებების მეთოდოლოგიის განხილვა.
5. ინფორმაცია პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბების შესახებ.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შედეგების განხილვა

მონაწილეები			
სახელი, გვარი	**დაწესებულება, თანამდებობა**	**ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი**	**სტატუსი**
მარინა ჟვანია	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი	marina.zhvania@eqe.ge 577 27 88 41	წევრი
გია ტარიელაძე	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე	tarieladze@eqe.ge 577 17 33 07	წევრი
კონსტანტინე ჩოკორაია	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ავტორიზაციის	kote.chokoraia@eqe.ge 577 27 88 83	მონაწილე

	სამმართველოს უფროსი		
ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე	Lali.shaishmelashvili@eqe.ge 577 27 88 49	მონაწილე
ქეთევან ფანჩულიძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი	k.panchulidze@eqe.ge 577 27 88 43	წევრი
ნანი დალაქიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	nani.dalakishvili@eqe.ge 577 17 55 77	წევრი
ლალი ღოღელიანი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეპარტამენტის უფროსი, პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი	lali_gtu@gtu.ge 599 70 44 99	წევრი
ლელა წიფურია	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი	lelatsiphuria@yahoo.com 599 65 49 80	წევრი
მათე ტაკიძე	თბილისის ტურიზმის პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“, დირექტორი	takidze@rambler.ru 577768866	მონაწილე

შედეგები/კომენტარები/წინადადებები

1. დღის წესრიგის განხილვა

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი დამატებების გარეშე

2. წინა სხდომის ოქმის (ოქმი №10. 28.12.2011) დამტკიცება

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

დამტკიცდეს წინა სხდომის ოქმი – **ოქმი თან ერთვის**

3. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა

<u>რეზიუმე:</u>

მარინა ჟვანიამ წარმოადგინა ინფორმაცია, რომ 2011 წლის თებერვალში დამტკიცდა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები წესი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №8/ნ. 3.02.2011), ამ ეტაპზე მიმდინარეობს რეკომენდაციების შემუშავება არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურების თაობაზე. ამ დოკუმენტის შესამუშავებლად გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები საჯარო და კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, სადაც მათ მიერ წარმოდგენილ იქნა დაწესებულებებში არსებული გამოცდილება არაფორმალური განათლების აღიარების წესებისა და პროცედურების თაობაზე. ამ გამოცდილების გათვალისწინებით ცენტრში შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურების დოკუმენტის და_არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თვითშეფასების კითხვარის სამუშაო ვერსიები, რომელიც განიხილება დაინტერესებულ პირთა შეხვედრებზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა ტრენინგზე და საბოლოო სახის მიღების შემდეგ რეკომენდაციების სახით დაეგზავნება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. **(დოკუმენტების სამუშაო ვერსიები თან ერთვის).**

<u>შენიშვნები:</u>

გია ტარიელაძემ დამსწრეებს დეტალურად გააცნო მომზადებული დოკუმენტები და აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტებში აისახება არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურების ზოგადი ჩარჩო, რაც რეკომენდაციების სახით მიეწოდებათ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რის

შემდეგაც დაწესებულებების მიერ უნდა აღიწეროს პროცედურები სპეციალობების მიხედვით. აქვე აღინიშნა, რომ რეკომენდაციების მიღებამდე სავარაუდოდ მოხდება ცვლილებების შეტანა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დებულებაში(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №8/ნ. 03.02.2011).

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

- შემუშავებული დოკუმენტების სამუშაო ვერსიები დაეგზავნოს დაინტერესებულ პირებს (თემატური ჯგუფის წევრები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, დამსაქმებლები, აღიარების პოტენციური მსურველები) და მოეწყოს გაფართოებული განხილვა
- მომზადდეს სატრენინგო პროგრამა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურების რეკომენდაციებთან დაკავშირებით და ჩატარდეს ტრენინგი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის მარტის თვეში.

4. **სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების შესწავლის მიზნით განსახორციელებელი ქმედებების მეთოდოლოგიის განხილვა**

<u>**რეზიუმე:**</u>

მარინა ჟვანიამ დამსწრეებს შეახსენა პროფესიული განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების ‘მიღების ისტორია და აღნიშნა, რომ 2007 წლის 28 მარტის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგაც არ შეწყვეტილა მუშაობა პროფესიული განათლების სისტემის სრულყოფის მიმართულებით. ამ მუშაობის შედეგები ასახულია
საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2009 წლის 24 ნოემბრის №342 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში „სახელობო განათლების რეფორმის სტრატეგია (სახელობო განათლებისა და მომზადების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისთვის)“ . სტრატეგიაში აისახა ის გამოწვევები, რაც აუცილებელი იყო პროფესიული განათლების მიზნების მისაღწევად. კერძოდ, აუცილებელი იყო პროფესიული განათლების მიმზიდველობის გაძლიერება და ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის გზით შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება. სისტემა ჩაკეტილი იყო - არ არსებობდა ბმა სხვადასხვა დონეზე (სახელობო, უმაღლესი პროფესიული) შეთავაზებულ პროგრამებს შორის და შესაბამისად, პროფესიული

განათლების სისტემა არ იყო სტრუქტურირებული და კარიერულად აგებული. შედეგად კი პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამა მახინჯ ფორმად ჩამოყალიბდა, რომელიც, უმეტეს წილად, მხოლოდ ბაკალავრიატში სწავლის გაგრძელების ტრამპლინად იყო ქცეული. აღნიშნული პრობლემების იდენტიფიცირებისთანავე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით დაიწყო შეხვედრების ორგანიზება, რომელშიც ჩართული იყვნენ შესაბამისი პროფესიების, დამსაქმებლებისა და პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლები. ამ შეხვედრების შედეგად საბოლოოდ შეიქმნა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც წარდგენილი იქნა საქართველოს მთავრობაში. 2010 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია. ცვლილებების განხორციელებამდე არსებული ე.წ. ”საგანმანათლებლო ჩიხი” აღმოიფხვრა პროფესიული განათლების უწყვეტი, ხუთ საფეხურიანი სვეტის შემოღებით, რომელიც აკადემიური განათლების პარალელურად არსებობს და დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას უზრუნველყოფს. ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ პირველი სამი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ხოლო საზოგადოებრივ კოლეჯებს და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ხუთივე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. პროფესიული განათლების საფეხურები განისაზღვრება სწავლის შედეგების მიხედვით და ცალკეული დარგის წარმომადგენლები თავად განსაზღვრავენ შესაბამის პროფესიულ სტანდარტში თითოეული პროფესიის მოთხოვნების შესაბამისობას კონკრეტულ სწავლის შედეგებთან. დასაქმებისა და უწყვეტი განათლების სისტემის ხელშეწყობის მიზნით ჩამოყალიბდა პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯები. საზოგადოებრივი კოლეჯი ახორციელებს ხუთივე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე უფლებამოსილია განახორციელოს მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამები. გამარტივდა პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის მასწავლებლის მიმართ წაყენებული მოთხოვნები. აქცენტი კეთდება შესაბამისი პროფესიით მუშაობის პრაქტიკულ გამოცდილებასა და ადეკვატური კვალიფიკაციის ქონაზე. უშუალოდ დარგის წარმომადგენლები ახდენენ პროფესიულ სტანდარტში შესაბამისი მოთხოვნების იდენტიფიცირებას. აღარ არსებობს პროფესიული პროგრამის მასწავლებლის სერტიფიცირების მოთხოვნა უშუალოდ ცალკეული დარგის პროფესიონალებისა და შესაბამის სფეროში მოქმედი პროფესიული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით შემუშავდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცდა პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო, ასევე პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია პროფესიული სტანდარტი, რომელსაც პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოზე დაყრდნობით, პროფესიული ასოციაციებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავებს და ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. დღესდღეობით დამტკიცებულია 226 პროფესიული სტანდარტი. პროფესიული სტანდარტით განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული განათლების საფეხურები, მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის სავალდებულო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, ასევე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება. IV საფეხურზე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – V საფეხურზე, ჩარიცხვისათვის სავალდებულო ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობა დასტურდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტის შედეგების საფუძველზეც. საგანმანათლებლო პროგრამები აგებულია სწავლების შედეგების პრინციპზე. სწავლის მოცულობის ერთეულად გამოიყენება კრედიტი და ცოდნის ადეკვატური შეფასების საფუძველზე ხდება შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის მინიჭება.

<u>**რეკომენდაციები:**</u>

შესწავლილ იქნას იმ პროფესიული ცენტრების გამოცდილება, რომელთაც 2010 წლის სექტემბერში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებამდე სახელობო ლიცენზიასთან ერთად ჰქონდათ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია. ასევე იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (”შავნაბადა”, ”გონი”, ”წმიდა დიმიტრი ყიფიანის სკოლა-კოლეჯი”, ”ლიბერთი-პროფი” , მახინჯაურის სკოლა-ლიცეუმი) გამოცდილება, რომელთაც საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ მიეცათ შესაძლებლობა და მოიპოვეს უფლება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად დამატებით განახორციელონ პროფესიული პროგრამები.

<u>**შენიშვნები:**</u>

მოსაზრებები გამოთქვეს მათე ტაკიძემ, ლალი ღოღელიანმა, ლელა წიფურიამ, ნანი დალაქიშვილმა, რომელთა აზრით 2010 წლის 1 სექტემბრიდან ძალიან მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა ძალაში, რამაც ფაქტიურად იმ ცხრაკლასდამთავრებულებს, ვისაც საშუალო განათლებასთან ერთად პროფესიული განათლების მიღებაც სურთ, სკოლაშივე მისცა იმის შესაძლებლობა, რომ მიიღონ ორივე განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც უხსნის მათ იმ ბარიერს, რაც ექმნებოდათ საშუალო განათლების ატესტატის არქონის გამო უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი კოლეჯები ახორციელებენ მოსამზადებელ პროგრამებს. ამდენად, მნიშვნელოვანი იქნება იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილების შესწავლა და გაანალიზება, რომლებიც პარალელურად ახორცილებენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებს.

<u>**დასკვნები და მოქმედებები:**</u>

- შესწავლილ იქნას იმ პროფესიული ცენტრების (შპს საგანმანათლებლო კომპლექსი ”შავნაბადა” და შპს ”წმიდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-ლიცეუმი”) გამოცდილება, რომელთაც სახელობო ლიცენზიასთან ერთად ჰქონდათ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია. ასევე იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (”შავნაბადა”, ”გონი”, ”წმიდა დიმიტრი ყიფიანის სკოლა-კოლეჯი”, ”ლიბერთი-პროფი”, მახინჯაურის სკოლა-ლიცეუმი) გამოცდილება, რომლებიც

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად ახორციელებენ პროფესიულ პროგრამებს.

- გაანალიზდეს შესწავლილი გამოცდილება და მომზადებული ანალიზი აისახოს 2011 წლის სექტემბერში მომზადებულ **”პროფესიული განათლების სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების შესწავლის პოლიტიკის დოკუმენტში”.**

5. ინფორმაციადოკუმენტში” სტანდარტების მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბებისუმენტში”ა <u>რეზიუმეი</u>

მარინა ჟვანიამ დამსწრეებს გააცნო ინფორმაცია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით განხორციელებული ღონისძიებებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება, რომელიც განთავსდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის. მან მონაწილეებს გააცნო პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზის სტრუქტურა და ის ძირითადი მაჩვენებლები, რომელსაც ეს ბაზა მოიცავს და აღნიშნა, რომ უკვე მუშავდება შესაბამისი პროგრამა, რომელიც, უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება ცენტრის ვებ-გვერდზე. ამ პროგრამაში შესაძლებლობა იქნება მოიძებნოს ნებისმიერი ის პროფესიული კვალიფიკაცია, რომლის შესაბამისი სტანდარტი უკვე დამტკიცებულია, თვით სტანდარტის ტექსტი, კოდი, ინფორმაცია მისანიჭებელი კვალიფიკაციის საფეხურების შესახებ, ასევე ინფორმაცია სტანდარტის წარმომდგენი ორგანიზაციის შესახებ.

<u>შენიშვნები:</u>

ნანიშვნები:რი ის პროფესიული კვალიფიკაცია, რომლის შესაბამისი სტანდარტი უკვე დამტკიცებულია, თვით სტანდარტის ტექსტი, კოდი, ინფორმაცია მისანიჭებელი კვალიფიკაციის საფეხურების შესახებ, ასევე ინფორმაცია სტანდარტის წარმომდგენი ორგანიზაციის შესახებ.ლეებს გააცნო პრო განათლება; 4. ინჟინერია; 5. მეცნიერებანი/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; 6. სამართალი; 7. სოციალური მეცნიერებები; 8. ხელოვნება; 9. ჯანდაცვა; 10. ჰუმანიტარული მეცნიერებანი; 11. მიმართულებათაშორისი.

თითოეულები:რი ის პროფესიული კვალიფიკაცია, რომლის შესაბამვს შესაბამისი კოდი, რომელიც იდენტურია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეოთხე დანართში პროფესიული სპეციალიზაციებისათვის მინიჭებული სპეციალური კოდებისა. მონაცემთა ბაზაში მოცემულია

თითოეული პროფესიული საფეხურის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და შესაბამისი კრედიტები. ასევე პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზაში ასახულია კონკრეტული პროფესიული სტანდარტის დამტკიცების თარიღი/ ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანება და სტანდარტის წარმომდგენი პირი ან ორგანიზაცია. პროფესიული:რი ის პროფესიული კვალიფიკაცია, რომლის შესაბასტრირებულია პროფესიული სტანდარტები შემდეგი მიმართულებით: აგრარულილი:რი ის პროფესიული კვალიფიკაცია, რომლის შესაბასტრირებულია პროფესიული სტანდარტები შემდეგი მიმართულებით: აციო ჩარჩოს მეოთხე დანართში პროფესიული სპეციალიზაციებისათვის მინიჭებული სპეციალური კოართულებათაშორისი -5. პროფესიული:რი ის პროფესიული კვალიფიკაცია, რომლის შესაბასტრირებულია პროფესიული სტანდარტები შემდეგი მიმართულებით: აციო ჩარჩოს მეოთხე დანართში პროფესიული სპეციალიზაციებისა <u>დასკვნები და მოქმედებები:</u> პროფესიულიდა მოქმედებები:ლი კვალიფიკაცია, რომლის შესაბასტრირებულია პროფესიული სტანდარტები შემდეგი მიმართულებით: აციო ჩარჩოს მეოთხე დანართში პროფესიუwww.eqe.ge) .
6. პროფესიული"http://www.eqe.ge"ვალიფიკაცია, რომლის შესაბასტრირებულია პროფესიული სტანდარტები შემდეგი მიმართულებით: აციო ჩარჩოს მეოთხე დანართში პროფესიული სპეციალიზაციებისათვის მინიჭებული სპეციალური კოართულებათაშორისი -5. აში მოცემულია თითოეულ <u>**რეზიუმე:**</u> მარინა ჟვანიამ დამსწრეებს გააცნო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში ცენტრის მიერ მომზადებული ელექტრონული ბუკლეტის ”პროფესიული კვლიფიკაციების ჩარჩო და პროფესიული სტანდარტები” სამუშაო ვერსია, ბუკლეტი გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლებისათვის და ზოგადად, დაინტერესებული პირებისათვის. ელექტრონულ ბუკლეტში მოცემულია ინფორმაცია პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების თაობაზე, 2010-2012 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, მისი შემადგენელი პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს და პროფესიული სტანდარტების განვითარების ეტაპებზე და ამ პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის თაობაზე.

ელექტრონული ბუკლეტის დახვეწაზე მუშაობა გრძელდება და საბოლოო სახით ბუკლეტი განთავსდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე და მისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის. **(ბუკლეტის პროექტი თან ერთვის)**

შენიშვნები:

მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრებები (ქეთევან ფანჩულიძე, ლალი ღოღელიანი, ლელა წიფურია), რომ კარგი იქნება თუ რეგიონებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაგეგმილი საინფორმაციო შეხვედრების დროს დამსწრეებს მიეწოდებათ ინფორმაცია კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიულ სტანდარტებთან დაკავშირებითაც.

დასკვნები და მოქმედებები:

- ზოგადსაგანმანათლებლობები:საზრებები (ქეთევან ფანჩულიძე, ლალი ღოღელიანი, ლელა წიფურია), რომ კარგი იქნება თუ რეგიონებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთ
- ელექტრონულიანათლებლობები:საზრებები (ქეთევან ფანჩულიძე, ლალი ღოღელიანი, ლელა წიფურია), რომ კარგი იქნება თუ რეგიონებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებსა და მომხმარებლებს, ასევე განთავსდეს ცენტრის ვებ-გვერდზე.

დანართი 1

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება

(სამუშაო ვერსია)

1. არსი და მიზანი

სწავლა სიცოცხლის მაძილზე არ არის დაკავშირებული მხოლოდ ფორმალურ განათლებასთან: პროფესიული კომპეტენციების შეძენა შესაძლებელია როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ დონეზე. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება გულისხმობს არაფორმალური გზით შეძენილი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმებასა და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურებას.

2. დაშვების წინაპირობები

არაფორმალური განათლების აღიარებისათვის მაძიებელი/კანდიდატი უნდა აკმაყოფლებდეს შემდეგ წინაპირობებს:

ა) არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებელს (შემდგომში - მაძიებელი)/არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კანდიდატს (შემდგომში -კანდიდატი) დასრულებული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური;

(ალტერნატივა: კანდიდატი უნდა იყოს არა ნაკლებ 18 წლის და გააჩნდეს სულ მცირე საბაზო განათლება. აღნიშნული ასაკობრივი ზღვარი შესაძლოა განისაზღვროს იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში საბაზო განათლება სავალდებულოა. შესაბამისად, მოსწავლე სკოლას ტოვებს 15 წლის ასაკში. ნებისმიერ სფეროში პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად კი საჭიროა გარკვეული სამუშაო ან სხვა ტიპის გამოცდილება, რომელიც დროს მოითხოვს);

ბ) მაძიებელი/კანდიდატი ფლობს იმ პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის ოდენობის ხანგრძლივობის პროფესიულ გამოცდილებას, რომლის მიზნებისთვისაც მას სურს არაფორმალური განათლების აღიარება (მაგ., მებაღის II საფეხურის პროფესიული სტანდარტი ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს 40%-ის ოდენობით. იმის მიხედვით, თუ რა დრო ესაჭიროება დაწესებულებას ამ პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისათვის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების მიხედვით), პრაქტიკის დასადასტურებლად შესაძლებელია განისაზღვროს ამავე ხანგრძლივობის პროფესიული გამოცდილების დამადასტურებული ცნობის წარმოდგენა მაძიებლის/კანდიდატის მიერ (სამუშაო

ადგილიდან სერთიფიკატი ან არაფორმალური პროფესიული პრაქტიკული კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი).

3. ინფორმირება და კონსულტირება

3.1 მაძიებელი/კანდიდატი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით მიმართავს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს მისთვის სასურველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ინფორმირება და კონსულტირება მნიშვნელოვანი ეტაპია არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში. მაძიებელი/კანდიდატი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კონსულტანტისაგან (შემდგომში კონსულტანტი) იღებს დეტალურ ინფორმაციას არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესებისა და პირობების შესახებ;

3.2 კონსულტანტის როლი მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში. ის არა მარტო ინფორმაციას აწვდის მაძიებელს/კანდიდატს, არამედ ეხმარება მას განსაზღვროს საკუთარი პროფესიული გამოცდილება, კომპეტენციები და დაადასტუროს ისინი შესაბამისი დოკუმენტებით. ამგვარი საქმიანობა მოითხოვს შესაბამის უნარებს. სსიპ-ებში ამ ფუნქციების დაკისრება შესაძლებელია პროფორიენტაციის (პროფესიული მიმართულების) სპეციალისტებზე. ნებისმიერ შემთხვევაში I, II და III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰყავდეს კონსულტაციის გაწევაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც იქნება ამ დარგის შესაბამისი მომზადების სპეციალისტი;

3.3 ინფორმირებისა და კონსულტაციის ეტაპზე ყურადღება მახვილდება თვითშეფასების კითხვარის შევსების წესზე. მაძიებელს/კანდიდატს განემარტება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თვითშეფასების კითხვარში რეალობასთან ახლოს მყოფი ინფორმაციის ასახვა. მაძიებლის/კანდიდატის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის განხილვის შედეგად წყდება მისი გამოცდაზე დაშვების საკითხი და ასევე განისაზღვრება, თუ რომელი პროფესიული საფეხურის მიზნებისთვის უნდა მოხდეს მის მიერ არაფორმალური გზით შეძენილი პროფესიული განათლების აღიარება;

3.4 მაძიებელს/კანდიდატს ინფორმირება-კონსულტირების ეტაპზე უყალიბდება ზოგადი წარმოდეგნა, თუ რა სახის უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს ის არაფორმალური გზით მიღებული განათლების აღიარებისათვის, აკმაყოფილებს თუ არა გამოცდაზე დაშვების წინაპირობებს და უნდა მიიღოს თუ არა მონაწილეობა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შემდგომ პროცესებში.

4. არაფორმალურად შეძენილი პროფესიული კომპეტენციების აღიარების ეტაპები

1. კანდიდატის მიერ თვითშეფასების წარმოდგენა

1.1 მაძიებელი/კანდიდატი წარმოადგენს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თვითშეფასების კითხვარს, სადაც თავმოყრილია მონაცემები კანდიდატის მიერ არაფორმალურად შეძენილი პროფესიული განათლების შესახებ;

1.2 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თვითშეფასების კითხვარის შესავსებად კონსულტაციის შემდეგ მაძიებელს/კანდიდატს ეძლევა 15 სამუშაო დღე;

1.3 არასრული პროფესიული განათლების აღიარების თვითშეფასების კითხვარი არ წარმოადგენს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესის შეწყვეტის საფუძველს;

1.4 თვითშეფასების კითვარის საშუალებას იძლევა დადგინდეს:

ა) აკმაყოფილებს თუ არა მაძიებელი/კანდიდატი გამოცდაზე დაშვების წინაპირობებს. კერძოდ, გააჩნია თუ არა მას პრაქტიკული გამოცდილების სტაჟი და და აქვს თუ არა საბაზო განათლება;

ბ) თვითშეფასების კითხვარის მეშვეობით ხდება კანდიდატის მიერ არაფორმალური გზით მიღებული განათლების შესაბამისობის დადგენა შესაბამისი პროფესიული სტანდარტის კვალიფიკაციის აღმწერთან. კერძოდ, მისი კომპეტენციების შესაბამისობის დადასტურება შესაბამისი პროფესიული სტანდარტის მე-3 სვეტით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. ამ მიზნით კანდიდატის/მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში თითოეული კრიტერიუმის (ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი; ღირებულებები) შესამოწმებლად ვარიანტებად მიეთითება ასაღიარებელი პროფესიული სტანდარტის კვალიფიკაციის აღმწერიდან პირველი, მეორე და მესამე საფეხურების (ასეთის არსებობის შემთვევაში) კვალიფიკაციის აღმწერის მე-3 სვეტით დადგენილი კომპეტენციები (იხ. თვითშეფასების კითხვარის მე-3 თავი).

2. შეფასების პროცედურა

2.1 თვითშეფასების კითვარის განხილვა და მისი სამართლებრივი შედეგები.

2.1.1 დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (დირექტორი, დეკანი და ა.შ) მაძიებლის/კანდიდატის მიერ თვითშეფასების კითხვარის წარმოდგენიდან 3 დღის ვადაში გამოსცემს სამართლებრივ აქტს, სადაც მიეთითება, აკმაყოფილებს თუ არა მაძიებელი/კანდიდატი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისთვის დადგენილ წინაპირობებს. კერძოდ: ფლობს თუ არა საბაზო განათლებას და აქვს თუ არა

საკმარისი პროფესიული სტაჟი (დასაშვებობის ეტაპი), რის შედეგადაც ის იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) მაძიებლის გამოცდაზე დაშვების შესახებ; ბ) მაძიებლის გამოცდაზე დაშვების უარის თქმის შესახებ;

2.1.2 თუკი მიღებულ იქნება გადაწყვეტილება მაძიებლის გამოცდაზე დაშვების შესახებ, დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საგამოცდო კომისია. დაწესებულება თავისუფალია კომისიის წევრების განსაზღვრაში, თუმცა, აუცილებელია კომისიის ერთ-ერთი წევრი იყოს დარგის პეციალისტი. კომისიაში შეიძლება ასევე იყოს კონსულტანტი და შესაბამისი პროფესიის დამსაქმებლებიც;

2.1.3 კომისია მისი შექმნიდან 5 დღის ვადაში თვითშეფასების კითხვარისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურზე უნდა მოხდეს მაძიებლის გამოცდაზე დაშვება.

2.2. გამოცდა

2.1.4 გამოცდის შედეგად შესაძლებელი უნდა იყოს შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დადასტურება. აქედან გამომდინარე, გამოცდა უნდა შეიცავდეს 6 საკითხს, რომლის მეშვეობითაც მოხდება სტანდარტით დადგენილი ექვსივე კრიტერიუმის შემოწმება;

2.1.5 გამოცდის შედეგად გადამოწმდება შესაბამისი პროფესიული საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერის მესამე სვეტში მოცემული საკითხების ფლობა კანდიდატის მიერ;

2.1.6 გამოცდა შეიძლება ჩატარდეს წერილობით (ტესტები, კაზუსი, ან თეორიული ნაწილი) ან გასაუბრების ფორმით. დამატებით შესაძლებელია დაწესდეს გამოცდა პრქტიკის კომპონენტში (დაწესებულების, ან დამსაქმებლის ბაზაზე), რომლის მეშვეობითაც, შესაძლებელი იქნება მაძიებლის მიერ პრაქტიკული კომპეტენციების ფლობის შემოწმება;

2.1.7 გამოცდის შედეგად დგინდება, პროფესიული სტანდარტით დადგენილი 6 კომპონენტიდან თუ რომელს ფლობს მაძიებელი/კანდიდატი. საგამოცდო კომისია, მაძიებელს/კანდიდატს უღიარებს შესაბამისი სტანდარტით დადგენილი კვალიფიკაციის იმ საგანს, რომლის ფლობაც დადასტურდება კანდიდატის მიერ;

2.1.8 მაძიებლის/კანდიდატის მიერ საგანის ფლობა დასტურდება, თუკი დაწესებულების მიერ დადგენილი სწავლის შედეგების ცხრილის გათვალისწინებით, კანდიდატი მიიღებს დადებით შეფასებას იმ კომპონენტებში, რომლებიც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მიღწეულ იქნეს

ამ კონკრეტული საგნის სწავლების შედეგი (მაგალითად: მასაჟისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის ფარგლებში ისწავლება საგანი პროფესიული ეთიკა. იმისთვის, რომ გამოცდის შედეგად მოხდეს ამ საგნის აღიარება, საგამოცდო კომისიამ დაწესებულების მიერ შედგენილი სწავლის შედეგების რუკის მიხედვით უნდა გადაამოწმოს, თუ რომელი კომპონენტების ფლობის შედეგად არის შესაძლებელი ამ საგნით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევა. მაგალითად, ამ საგნის (პროფესიული ეთიკა) სწავლის შედეგებზე გასვლა შესაძლებელია, თუკი სტუდენტი აკმაყოფილებს ამ პროგრამისათვის საკვალიფიკაციო ჩარჩოთი დადგენილ კრიტერიუმებს: ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და სწავლის უნარი. თუკი გამოცდის შედეგად მაძიებელი/კანდიდატი მიიღებს ამ კომპონენტებში დადებით შეფასებას, ეს ნიშნავს, რომ მის მიერ ამ საგნის სწავლის შედეგები მიღწეულია და ეს საგანი მას უნდა უღიარდეს);

2.1.9 თუკი გამოცდის შედეგად მაძიებელი/კანდიდატი, ერთ-ერთ ან ორივე კომპონენტში მიიღებს უარყოფითი შეფასებას, ეს ნიშნავს, რომ მის მიერ მიღწეული არ არის ამ საგნით გათვალისწინებული სწავლის შედეგები და ამ შემთხვევაში საგანის აღიარება არ მოხდება;

2.1.10 თუკი გამოცდის შედეგად საგამოცდო კომისიის მიერ უარყოფითად შეფასდება მაძიებლის/კანდიდატის მოთხოვნა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე და კომისია მიჩნევს, რომ ის აკმაყოფილებს უფრო დაბალი საფეხურის მოთხოვნებს, კანდიდატის სურვილის შემთხვევაში, საგამოცდო კომისია უფლებამოსილია მოახდინოს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება უფრო დაბალი საფეხურის მიზნებისთვის (მაგალითად, თუკი თვითშეფასების კითხვარისა და კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, საგამოცდო კომისია მიიჩნევს, რომ მაძიებელი/კანდიდატი უნდა იქნეს დაშვებული შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურზე, ხოლო გამოცდის შედეგად აღმოჩნდება, რომ ის ვერ აკმაყოფილებს III საფეხურისთვის დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ მისი პროფესიული კომპეტეციები ადასტურებს II ან I პროფესიული საფეხურის მოთხოვნებს, კანდიდატის სურვილის შემთვევაში, კომისიის გადაწყვეტილებით მას შესაძლოა უღიარდეს შესაბამისი პროფესიული საფეხურის მიზნებისთვის არაფორმალური გზით მიღებული განათლება);

2.1.11 გამოცდის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები, რა მიზნითაც, შესაძლოა მოხდეს მათთვის გამოცდის მეთოდების მოდიფიცირება (მაგ.,თეორიული გამოცდის ამოღება და მათთვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება მხოლოდ მათი პრაქტიკული კომპეტენციების შემოწმების საფუძველზე. აქ აუცილებელია სპეციალური მასწავლებლის ჩართვა).

2.2 გადაწყვეტილების მიღება

2.2.1 არაფორმალური განათლების აღიარების, ან აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საგამოცდო კომისია;

2.2.2 გადაწყვეტილების მიღებისას კომისია ხელმძღვანელობს გამოცდის შედეგებით;

2.2.3 გადაწყვეტილებაში მიეთითება ასაღიარებელი პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამიდან რომელი საგნები უღიარდა მაძიებელს/კანდიდატს და რომელი საგნები რჩება მას გასავლელი იმისათვის, რომ მიენიჭოს შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. ამ შემთხვევაში მაძიებელი/კანდიდატი მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს და სწავლის გაგრძელების უფლებას შესაბამის საფეხურზე;

2.2.4 თუკი მაძიებელს/კანდიდატს არ უღიარდა არც ერთი საგანი, საგამოცდო კომისია უარს ეუბნება მას არაფორმალური გზით მიღებული განათლების აღიარებაზე;

2.2.5 თუკი გამოცდის შედეგად კანდიდატს სრულად უღიარდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი, ამ შემთხვევაში დაწესებულება გასცემს შესაბამისი საფეხურის პროფესიულ დიპლომს;

2.2.6 გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

დანართი 2

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თვითშეფასების კითხვარი

კბილის ტექნიკოსის I/II/III პროფესიული კვალიფიკაციის აღიარებისათვის

1. ინფორმაცია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი კანდიდატის შესახებ.

სხელი: ----------

გვარი: ----------

მისამართი:

(იურიდიული): ----------

(ფაქტობრტივი) ----------

პირადი №: ----------

პირადობის მოწმობის №: ----------

საკონტაქტო ინფორმაცია: ----------

1.1.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, სადაც კანდიდატს სურს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება:

1.2.გთხოვთ მოუთითოთ, რომელის საფეხურის მიზნებისთვის გსურთ არაფორმალური გზით მიღებული განათლების აღიარება:

ა) პირველი ბ) მეორე გ) მესამე

2. ინფორმაცია კანდიდატის მიერ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის შესახებ

2.1 გთხოვთ, აღწერეთ თუ რა გამოცდილებას ფლობთ კბილის ტექნიკოსის პროფესიაში

აღწერა:

.....
....
.....
....
.....
....
.....
....
.....
....

2.2 გთხოვთ მიუთითეთ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შეხება გაქვთ/გქონდათ ასაღიარებელ პროფესიულ კვალიფიკაციასთან მიმართებით.

აღწერა:

.....
....
.....
....
.....
....
.....
....

.....
....

2.3 გაქვთ თუ არა რაიმე სახის დოკუმენტი (შრომითი ხელშეკრულებები, სამუშაოს აღწერები, პროფესიულ კონკურსზე მიღებული ჯილდოები/სიგელები, სერტიფიკატები, პროფესიული საქმიანობის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა, არტეფაქტები მაგალითად, ხალიჩა, თექა და ა. შ), რომელიც დაადასტურებს თქვენს მიერ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების ფაქტს. (დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, წარმოადგინოთ დანართის სახით)

.....
....
.....
....
.....
....
.....
....
.....
....

2.4 გთხოვთ, მიუთითოთ დაძლეული გაქვთ თუ არა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.

ა) დიახ ბ) არა

შენიშვნა: დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, წარმოადგინოთ საბაზო საფეხურის განათლების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი დანართის სახით.

3. კანდიდატის მიერ არაფორმალური გზით მიღებული განათლების შესაბამისობის დადგენა კბილის ტექნიკოსის I/II/III საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერთან

3.1 გთხოვთ მიუთითოთ, ჩამოთვლილთაგან რომელი პუნქტი შეესაბამება თქვენს მიერ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების დონეს, ცოდნისა და გაცნობიერების კუთხით:

- ☐ ვიცნობ სატექნიკო ლაბორატორიის აღჭურვილობას, შემიძლია ანაბეჭდის გამდინარე წყლით და მარტივი ანტისეპტიკური ხსნარებით დამუშავება, ვიცი თაბაშირის მომზადებისა და გამოყენების წესები; შემიძლია სატექნიკო ლაბორატორიაში გამოყენებული ინსტრუმენტების პირველადი დამუშავება.
- ☐ ვფლობ ბიოლოგიური მეცნიერების ზოგად ცოდნას, ვიცი ადამიანის პირის ღრუს შემადგენელი ორგანოების ანატომიური აგებულება და ფუნქცია, შესწავლილი მაქვს როგორც ზედა, ასევე ქვედა ყბებზე კბილთა მწკრივები, შემიძლია მათი გამოცნობა ჯგუფობრიობის მიხედვით, ვიცი თითოეული კბილის ანატომია და მიკროსკოპული აგებულება.
- ☐ ვიცი საღეჭ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტები,

  დაზიანებები, დეფორმაციები; შემიძლია მოდელებზე მათი ამოცნობა, ორთოპედიული კონსტრუქციების შესაქმნელად გეგმის შედგენა მასალებისა და ტექნოლოგიების შერჩევით; ვიცი როგორც მოუხსნელი, ასევე მოსახსნელი ორთოპედიული პროთეზების დამზადება.

3.2. გთხოვთ მიუთითოთ, ჩამოთვლილთაგან რომელი პუნქტი შეესაბამება თქვენს მიერ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების დონეს, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კუთხით:

- ☐ ხელმძღვანელის ზედამხედველობით მარტივი არითმეტიკული ოპერაციის შესრულებით შემიძლია სათანადო შეფარდებებით მოვამზადო ხსნარი, შევურიო მას თაბაშირი და მოვზილო საჭირო კონსისტენციამდე; ასევე

შემიძლია განვსაზღვრო წყლის საჭირო ტემპერატურა და დავარბილო სტენსი; ტექნიკოსის მითითებით შემიძლია თაბაშირის სამუშაო მოდელიდან სატექნიკო დანით ზედმეტი მასის ჩამოჭრა, ალუმინის მავთულით უმარტივესი არტაშნის დამზადება და ა.შ.; შემიძლია დავიცვა თაბაშირის შენახვის წესი.

- ☐ შემიძლია საანაბეჭდო მასალის შესატყვისი მეთოდით მომზადება, ფანტომიდან ზომის აღება, მიღებული ანაბეჭდიდან თაბაშირით მოდელის ჩამოსხმა, მოდელიდან საჭირო კბილების ამოჭრა, სპირტქურისა და სატექნიკო ფითხის დახმარებით კბილების ცვილით მოდელირება მათთვის სასურველი ფორმის მისაცემად; შემიძლია საკუთარი სამუშაო გეგმის შედგენა და მისი შეთანხმება გუნდის სხვა წევრების სამუშაო გეგმასთან.

- ☐ შემიძლია კბილის გვირგვინების დეფექტების აღდგენა მოდელირებით და ცვილის შეცვლა სათანადო ორთოპედიული ტექნოლოგიებით, ნახევარგვირგვინებით, ვინირებით და მთლიანი გვირგვინებით. აღნიშნული პროცესისათვის ვიყენებ პლასტმასს, ფაიფურს, მეტალებსა და მათ კომბინაციებს, კბილების ნაწილობრივი ან მთლიანი დაკარგვის შემთხვევაში შემიძლია მოდელზე სიტუაციის შეფასება, სამუშაო გეგმის შემუშავება სათანადო მასალების შერჩევით და მოუხსნელი ხიდისებური, ნაწილობრივი ფირფიტოვანი ან მთლიანი ფირფიტოვანი ორთოპედიული პროთეზების დამზადება.

3.3. გთხოვთ მოუთითოთ, ჩამოთვლილთაგან რომელი პუნქტი შეესაბამება თქვენს მიერ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების დონეს, დასკვნის გაკეთების უნარის კუთხით:

- შემიძლია თაბაშირის ან სხვა რომელიმე საანაბეჭდო მასალიდან მიღებული მასის საჭირო კონსისტენციის განსაზღვრა, პლასტმასების ტექნოლოგიური პროცესისათვის თვალყურის დევნება და დანადგარის ოპტიმალურ დროში გამორთვა, გაციების რეჟიმის დაცვა.
- კბილების შეძენილი ან თანდაყოლილი დეფექტების შემთხვევაში შემიძლია გარკვეული დამოუკიდებლობით გავაკეთო დასკვნა და ცვილით მათი ფორმის აღსადგენად მივმართო შესაბამის მეთოდს. კბილის ტექნიკოსის შენიშვნის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში შემიძლია საკუთარი პოზიციის დაცვა.
- სამუშაო მოდელზე შემიძლია სიტუაციის შეფასება, დასკვნის გაკეთება, სხვადასხვა ვარიანტების განხილვა და საბოლოო გეგმის შერჩევა, მანიპულაციის ჩატარება. პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში განსხვავებულ სიტუაციებში შეუძლია უცხო ენაზე პროფესიული ინფორმაციის მოძიება და ამ ინფორმაციის გააზრება, კომპიუტერული პროგრამებით სარგებლობა დოკუმენტაციის წარმოებისათვის.

3.4. გთხოვთ მიუთითოთ, ჩამოთვლილთაგან რომელი პუნქტი შეესაბამება თქვენს მიერ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების დონეს, კომუნიკაციის უნარის ქონის კუთხით:

- პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში შემიძლია აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულების, მასალის გამოყენების მარტივი მეთოდის, საანაბეჭდო მასალების შენახვის წესებისა და მსგავსი ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება, მარტივი ტექსტის გაგება უცხო ენაზე, აუცილებლობის შემთხვევაში სამუშაოს შესასრულებლად ვიყენებ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს

- ☐ პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში შემიძლია მოვიძიო გამოსაყენებელი ინფორმაცია – მაგალითად საანაბეჭდო მასალების მოძიების და მათ მეთოდებში გარკვევის თვალთახედვით, მათ შორის უცხო ენაზე. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ვიყენებ ჩემს მიერ შესასრულებელი სამუშაო პროცესისათვისაც, ნორმალურად წავრმართავ ურთიერთობებს თანაგუნდელებსა და კბილის ტექნიკოსთან.

- ☐ პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში განსხვავებულ სიტუაციებში შემიძლია უცხო ენაზე პროფესიული ინფორმაციის მოძიება და ამ ინფორმაციის გააზრება, კომპიუტერული პროგრამებით სარგებლობა დოკუმენტაციის წარმოებისათვის.

3.5. გთხოვთ მიუთითოთ, ჩამოთვლილთაგან რომელი პუნქტი შეესაბამება თქვენს მიერ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების დონეს, სწავლების უნარის ქონის კუთხით:

- ☐ შემიძლია მითითებულ ლიტერატურაში მითითებული გვერდების გამოყენებით სწავლა. სხვისი დახმარების შემთხვევაში შეიძლება განვსაზღვრო შემდგომ საფეხურზე სწავლა.

- ☐ შემიძლია: დასახელებული წყაროს გამოყენება ინფორმაციის მოსაპოვებლად, შემდგომში სწავლის გაგრძელება და საბოლოო გადაწყვეტილებას მიღება სხვათა კონსულტაციით.

- ☐ შემიძლია წყაროების მოძიება, დამუშავება შემდგომი სწავლის დაგეგმვა, შეძენილი ცოდნით შემიძლია შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფა.

3.6. გთხოვთ მიუთითოთ, ჩამოთვლილთაგან რომელი პუნქტი შეესაბამება თქვენს მიერ არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების დონეს ღირებულებების კუთხით:

- ☐ მაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა დაკისრებული სამუშაოს მიმართ. ვიცავ სანიტარიულ ნორმებს, სატექნიკო ლაბორატორიის პერსონალთან მაქვს კეთილგანწყობილი ურთიერთობა.

- ☐ ვიცავ თანაგუნდელებთან და უფროს კოლეგებთან ურთიერთობის ნორმებს, გულისყურით ვეკიდები ნებისმიერ დავალებას, განსხვავებულ სიტუაციებში არ ვკარგავ კეთილგანწყობას.

- ☐ კარგად ვიცი გუნდის წევრებთან, კოლეგებთან, ხელმძღვანელებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობების ეთიკური ნორმები, ვიცავ ამ ნორმებს, კრიტიკულ სიტუაციაში ვმოქმედებ შესაბამისად.

4. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

....

(შევსების ადგილი) თარიღი

დანართი 3

პროფესიული საკვალიფიკაციო ჩარჩო

პროფესიული სტანდარტები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

იანვარი, 2012



პროფესიული განათლების მიზნებია:

- ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით;
- ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა;
- ინდივიდის დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების, ხელშეწყობა;
- პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.

საქართველოს კანონი ”პროფესიული განათლების შესახებ”

პროფესიული განათლების რეფორმა

პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა საქართველოში 2007 წლიდან დაიწყო.

რეფორმის აუცილებლობა განაპირობა პროფესიული განათლების სისტემაში არსებულმა პრობლემებმა. კერძოდ: პროფესიული განათლების დაბალი პრესტიჟი, პოტენციური სტუდენტების ინფორმირებულობის დაბალი დონე, გარკვეული პროფესიების დაუფლების შესაძლებლობების არარსებობა, წინმსწრები განათლების აღიარების სისტემის არარსებობა, პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის დახვეწის აუცილებლობა, პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის არარსებობა. გარდა ამისა, არ იყო უზრუნველყოფილი პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა და არსებობდა ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხი“. კერძოდ, სისტემა ვერ უზრუნველყოფდა სტუდენტთა თავისუფალ მოძრაობას პროფესიულ და სხვა საგანმანათლებლო დონეებზე.

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2009-2012 წლები) მიზნებია:

ა) კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრებისათვის;
ბ) პროფესიული განათლების სისტემის დაახლოება და ჰარმონიზაცია ერთიან ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან;
გ) პიროვნების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა;
დ) ადამიანების სოციალური დაცვის ხელშეწყობა.

რეფორმას საფუძვლად დაედო პროფესიული განათლების სახელმწიფო პრიორიტეტად აღიარება.

განხორციელებული ცვლილებები

რეფორმის შედეგად განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები.

მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, გაიარონ ავტორიზაცია და დააკმაყოფილონ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტები.

ამჟამად, პროფესიული განათლების სისტემა მოიცავს: 21 საჯარო პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯს, 51 კერძო პროფესიულ და

საზოგადოებრივ კოლეჯს, ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება აგრეთვე აქვთ უმაღლეს და ზოგასაგანმანათლებლო დაწესებულებებს.

პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და პოტენციური სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით შეიქმნა სამი საინფორმაციო ცენტრი **თბილისში, ქუთაისსა და ქობულეთში**.

აღსანიშნავია, რომ 2010 წლიდან საგრძნობლად დაიხვეწა პროფესიული განათლების საკანონმდებლო ბაზა: დამტკიცდა არაფორმალური განათლების აღიარების წესი და პროცედურები, შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებში გაანგარიშების წესი, დამტკიცდა პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტი, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემოღებულ იქნა ხარისხის მართვის შიდა (თვითშეფასება) და გარე (ავტორიზაცია და აკრედიტაცია) მექანიზმები.

ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხის“ აღმოფხვრის მიზნით, 2010 წლის 21 ივლისს ”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად პროფესიული განათლება ერთსაფეხურიანი სისტემიდან გადავიდა ხუთსაფეხურიან სისტემაზე. შედეგად, ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე გადასვლა შესაძლებელი გახდა უწყვეტად, ერთი და იმავე, სხვა, მათ შორის უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალება მიეცათ, განახორციელონ პირველი სამი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. შესაბამისად, დღევანდელი საკანონმდებლო რეგულირების პირობებში, პროფესიული განათლების დიპლომის მიღება, ზოგადი განათლების ატესტატის პარალელურად, შეუძლია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერ მოსწავლეს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, გააგრძელონ სწავლა პროფესიული ან აკადემიური განათლების შემდეგ საფეხურებზე.

დაწვრილებითი ინფორმაცია პროფესიული განათლებაში არსებული წესების, ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიღონ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდიდან www.eqe.ge.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო გახლავთ დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თუ რა ცოდნა, უნარები და ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის, პროფესიული დიპლომის, დიპლომის მისაღებად.

ეს დოკუმენტი ერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას და ასახავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგებს.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის N 120/ნ ბრძანებით დამტკიცდა.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს:

- მოსწავლეზე, პროფესიულ სტუდენტზე, სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბებას;
- საქართველოში მიღებული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას;
- სტუდენტებისა და მოსწავლეების მობილობის პროცესს.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო ეფუძნება სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი (The European Qualifications Framework for Lifelong Learning - LLL) გათვალისწინებულ მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის სისტემას.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო შედგება ხუთი დოკუმენტისაგან:

ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო - დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისა და სრული ზოგადი განათლების კვალიფიკაციები.

პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო - დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული პროფესიული განათლების კვალიფიკაციები.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო - დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული უმაღლესი (აკადემიური) განათლების კვალიფიკაციები.

დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია **მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალი.**

კვალიფიკაციის ფორმირების წესი - დოკუმენტი, რომელიც ადგენს კვალიფიკაციათა ჩამონათვალში ახალი კვალიფიკაციის დამატების წესს.

პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემა

პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიზნებია:

- პროფესიული განათლების სისტემის გამჭვირვალობისა და პროფესიული კვალიფიკაციების სიცხადის უზრუნველყოფა;
- ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნების, შრომის ბაზრისა და განათლების სისტემის ურთიერთკავშირის ხელშეწყობა;
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე ორიენტაცია;
- მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა;
- სისტემის მოქნილობის უზრუნველყოფა, კვალიფიკაციების აღიარებისა და მობილობის ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის პროცესში.

პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო არის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი ნაწილი, რომელშიც სისტემატიზირებულია საქართველოში არსებული პროფესიული განათლების კვალიფიკაციები.

პროფესიული კვალიფიკაცია ასახავს პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონეს, რომელიც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით.

პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხაზე მუშაობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2009 წელს დაიწყო. 2010 წელს აღნიშნული მიმართულებით მუშაობა გაგრძელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და ამ

მიზნით ჩამოყალიბდა დარგობრივი საბჭოები. იმართებოდა სისტემატიური შეხვედრები. დამტკიცდა 371 პროფესიული სპეციალიზაცია.

ასევე, განისაზღვრა 11 მიმართულება - აგრარული მეცნიერებანი; ბიზნესის ადმინისტრირება; განათლება; ინჟინერია; მეცნიერებანი/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; სამართალი; სოციალური მეცნიერებები; ხელოვნება; ჯანდაცვა; ჰუმანიტარული მეცნიერებანი; მიმართულებათშორისი.

პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერით განისაზღვრა პროფესიული განათლების ცალკეული საფეხურის შესაბამისი სწავლის შედეგები ექვსი კრიტერიუმის მიხედვით: ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; გ) დასკვნის უნარი; დ) კომუნიკაციის უნარი; ე) სწავლის უნარი; ვ) ღირებულებები.

კვალიფიკაციის ყოველი შემდგომი საფეხური მოიცავს წინა საფეხურის სწავლის შედეგებს და გამოიხატება უფრო მაღალი პროფესიული ცოდნით, გაზრდილი უნარებითა და ღირებულებებით.

პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოზე დაყრდნობით იქმნება პროფესიული სტანდარტები. პროფესიული სტანდარტი არის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება პროფესიული განათლების საფეხურები, მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის სავალდებულო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, ასევე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები.

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და **პროფესიულ სტანდარტებზე** დაყრდნობით იქმნება **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.**

პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზა

პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულია ის პროფესიული ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომლებსაც უნდა ფლობდეს კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელი.

უფრო დაწვრილებით, **პროფესიული სტანდარტი** არის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება პროფესიული განათლების საფეხურები, მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის

სავალდებულო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, ასევე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები.

პროფესიული სტანდარტები პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოზე დაყრდნობით იქმნება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია პროფესიული სტანდარტი, რომელსაც პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოზე დაყრდნობით, პროფესიული ასოციაციებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავებს და ამტკიცებს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობენ პროფესიული ასოციაციები, დამსაქმებლები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, დაინტერესებული პირები, სტანდარტების პროექტები განიხილება დარგობრივი კომიტეტებისა და თემატური ჯგუფების სხდომებზე. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინაციით ფუნქციონირებს 14 დარგობრივი კომიტეტი:

1. სამთო და გეოინჟინერია;
2. მანქანათმშენებლობა, ტექნოლოგია, მეტალურგია და მასალათმცოდნეობა;
3. ხელოვნების მიმართულება;
4. ბიზნესის ადმინისტრირება;
5. ტურიზმი;
6. ჯანდაცვა;
7. საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო, სახმელეთო ტრანსპორტი;
8. ენერგეტიკა და ვაჭრობა;
9. აგრარული მეცნიერებები;
10. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ჟურნალისტიკა;
11. მშენებლობა და გარემოს დაცვა;
12. კომპიუტერული მეცნიერებები/ტელეკომუნიკაციები;
13. არქიტექტურა;
14. მეცნიერება/ზუსტი მეცნიერება.

პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზა წარმოადგენს ელექტრონულ პროგრამას, რომელიც შედგენილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს 11 მიმართულების შესაბამისად: 1. აგრარული მეცნიერებანი; 2. ბიზნესის ადმინისტრირება; 3. განათლება; 4. ინჟინერია; 5. მეცნიერებანი/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; 6. სამართალი; 7. სოციალური

მეცნიერებები; 8. ხელოვნება; 9. ჯანდაცვა; 10. ჰუმანიტარული მეცნიერებანი; 11. მიმართულებათაშორისი.

თითოეულ სტანდარტს, მისი სახელწოდების გარდა მინიჭებული აქვს შესაბამისი კოდი, რომელიც იდენტურია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეოთხე დანართში პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალისათვის მინიჭებული სპეციალური კოდებისა. მონაცემთა ბაზაში მოცემულია თითოეული პროფესიული საფეხურის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და შესაბამისი კრედიტები. ასევე პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზაში ასახულია კონკრეტული პროფესიული სტანდარტის დამტკიცების თარიღი და ბრძანება და სტანდარტის წარმომდგენი პირი ან ორგანიზაცია.

პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზაში ამჟამად დარეგისტრირებულია პროფესიული სტანდარტები შემდეგი მიმართულებით: აგრარული მეცნიერებანი - 27; ბიზნესის ადმინისტრირება - 15; ინჟინერია - 124; მეცნიერებანი/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი - 3; სამართალი -1; სოციალური მეცნიერებები - 3; ხელოვნება - 42; ჯანდაცვა - 6; მიმართულებათაშორისი -5.

პროფესიული სტანდარტის პროექტის ცენტრში წარმოდგენა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. პროექტი განიხილება დარგობრივი სამუშაო ჯგუფის მიერ და მისი დასკვნის შედეგად დარეგისტრირდება პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზაში საჯარო განხილვისათვის.

პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზის ელექტრონული ვერსია განთავსებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.eqe.ge) და არის საჯარო.